NATIONAL GEOGRAPHIC
საქართველო

საქართველოს ეროვნული მუზეუმი | თბილისი 0105, რუსთაველის გამზ. #3 | ტელ: 293 21 71 | ფაქსი: 293 21 72 | info@natgeo.ge | nationalgeographic.ge

4 აპრილი 2013

პრესრელიზი

აშშ გეოგრაფიული საზოგადოების (National Geographic Society) 125-ე საიუბილეო წლის აღსანიშნავად, National Geographic საქართველო იწყებს პრეზენტაციების ციკლს საქართველოს მასშტაბით. **<u>იგეგმება ჟურნალის პრეზენტაცია და აშშ გეოგრაფიული საზოგადოების საქმიანობის გაცნობა დაინტერესებული აუდიტორიისათვის</u>**, ასევე ადგილობრივ მოსახლეობასა და სტუდენტებთან უფრო მჭიდრო კონტაქტების დამყარება და საზოგადოების საქმიანობაში დაინტერესებული ჯგუფების ჩართვა (მათ შორის ჟურნალის გავრცელების საქმეში).

შეხვედრა გაიმართება თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში, მეორე სართულზე, დიდ სააქტო დარბაზში, 2013 წლის 8 აპრილს, 12 საათზე.

აშშ ეროვნული გეოგრაფიული საზოგადოება 1888 წელს დაარსდა და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი სამეცნიერო და საგანმანათლებლო ორგანიზაციაა, რომლის ინტერესის სფერო მოიცავს გეოგრაფიას, არქეოლოგიასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, ასევე, მსოფლიო კულტურისა და ისტორიის შესწავლას. ბოლო 125 წლის განმავლობაში, საზოგადოების დაფინანსებით არაერთი სამეცნიერო ექსპედიცია თუ კვლევითი პროექტი განხორციელდა. სწორედ ამ საზოგადოების გრანტით გახდა შესაძლებელი საქართველოში დმანისის ნამარხების საფუძვლიანი კვლევა და პირველი ევროპელების - ზეზვა და მზიას აღმოჩენა.

ჟურნალი National Geographic აშშ ეროვნული გეოგრაფიული საზოგადოების ოფიციალური გამოცემაა. მისი პირველი ნომერი 1888 წელს გამოვიდა და მას შემდეგ ჟურნალის მთავარი მისიაა, გაავრცელოს ცოდნა ჩვენი პლანეტის შესახებ. ჟურნალი 37 ენაზე გამოიცემა, 100-ზე მეტ ქვეყანაში ვრცელდება და 60 მილიონზე მეტი მკითხველი ჰყავს.

ქართულენოვანი გამოცემის პირველი ნომერი 2012 წლის ოქტომბერში გამოვიდა. მიმდინარე (აპრილის) ნომერი რიგით მეშვიდეა!

საინტერესოდ დაწერილი სტატიების გარდა, ამ ჟურნალის სიმდიდრე უნიკალური ვიზუალური მასალაცაა. National Geographic-ში საკუთარი ფოტოსა თუ სტატიის გამოქვეყნება ყველა ფოტოგრაფის, ჟურნალისტისა თუ მეცნიერის ოცნებაა. შესაბამისად, ჟურნალის თითოეული ნომერი ერთგვარი ხელოვნების ნიმუშია - განუმეორებელი ფოტოებით მსოფლიოს ყველა კუთხიდან.

გთხოვთ გვეწვიოთ! დასწრება თავისუფალია!

ჟურნალ სატელეკომუნიკაციო კომპანია "სილქნეტი" წარმოგიდგენთ. ჟურნალის პოპულარიზაციისთვის, კომპანია "სილქნეტი" აბონენტებს სთავაზობს ჟურნალის გამოწერას ფასდაკლებით, იოლი და კომფორტული მეთოდით. SilkTV-ს ყველა მომხმარებელს შეუძლია სახლიდან გაუსვლელად, ტელემენიუში ინტეგრირებული ღილაკის მეშვეობით გახდეს ჟურნალის გამომწერი.